კვირა
მედიაჰოლდინგი

მიხეილ ჩხენკელი: ახალი საერთაშორისო კინოაკადემია გახდება რეგიონის ინტელექტუალური ცენტრი

0

By kvira on 19/11/2017 15:46 საზოგადოება

დღეს საქართველოს პარლამენტში ამერიკელ რეჟისორთან, დევიდ ლინჩთან და მისი ფონდის დელეგაციის წევრებთან შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრებმა, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ და პარლამენტის სხვა წევრებმა.

საუბარი შეეხო დევიდ ლინჩის ინიციატივას, თბილისში ახალი საერთაშორისო კინოსკოლის გახსნის თაობაზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა დევიდ ლინჩს საქართველოში სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ასეთი მაღალი რანგის რეჟისორის ვიზიტი ჩვენი ქვეყნისთვის დიდი პატივია. ჩხენკელის განმარტებით, ახალი საერთაშორისო კინოაკადემია გახდება რეგიონის ინტელექტუალური ცენტრი, სადაც პრაქტიკული სამუშაოს გარდა, სიღრმისეულად იმსჯელებენ კინემატოგრაფის ისტორიაზე, თეორიაზე და მის ფილოსოფიაზე. ამასთან, ეს იქნება მნიშვნელოვანი სივრცე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და ფესტივალებისთვის.

სამინისტროს სახელით, მინისტრმა სრული მზადყოფნა გამოთქვა, მხარი დაუჭიროს დევიდ ლინჩის ინიციატივას. მინისტრის თქმით, ახალი საერთაშორისო კინოაკადემიის დაარსების საკითხში თანამშრომლობა გაღრმავდება.

კომენტარები

0 კომენტარი

MIKHEIL CHKHENKELI: NEW INTERNATIONAL FILM ACADEMY WILL BECOME A REGIONAL INTELLECTUAL CENTER

Today a meeting was held with the American fim director David Lynch and the members of his Foundation in the Parliament of Georgia. The meeting was hosted by the the Ministers of Education and Science, the Chairperson of the Committee of Education, Science and Culture of Georgia and other members of the Parliament.

The main topic concerned Lynch's initiative on opening a new International Film School in Tbilisi. The Minister of Education and Science of Georgia Mikheil Chkhenkeli thanked David Lynch for visiting Georgia and noted that hosting such a high-class film director in Georgia is big honor for our country. According to Chkhenkeli a new international film Academy will become an intellectual center of the Region, where it will be possibel to work not only on practical matters but widely discuss as well history, theory and philosophy of the cinema. Besides it will be an important space for the international scientific conferences and festivals.

The minister expressed the full readyness on behalf of the Ministry in supporting David Lynch's initiative. According to him cooperantion in the matter of establishing a new international film academy will be strengthened.